



საქართველოს
კულტურული
მარშრუტები
CULTURAL
ROUTES OF
GEORGIA



საქართველოს ბანათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურული მარშრუტების სერტიფიცირების კრიტერიუმები

კულტურული მარშრუტების ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემულ კრიტერიუმებს. კულტურული მარშრუტების თითოეული პროექტი მოგზაურობის დროს უნდა ყვებოდეს ისტორიას, რომელიც არჩეულ თემას ეფუძნება და რომელიც ვლინდება მთელი მარშრუტის განმავლობაში. თითოეული მარშრუტის თემა ასევე უნდა შეიცავდეს მითითებულ პრიორიტეტულ აქტივობებს.

თითოეული პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამის სივრცით მაჩვენებელს, რათა განისაზღვროს მარშრუტის მასშტაბი:

- ადგილობრივი დონე (საქართველოს კონკრეტულ რეგიონში);
- ნაციონალური დონე (ქვეყნის მასშტაბით);
- ევროპის დონე (თუკი განმცხადებელი საჭიროებს ან აპირებს თანამშრომლობის გაზრდას სხვა ქვეყნებთან)

I. კულტურული მარშრუტის თემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა ასახავდეს საქართველოს ისტორიას, მეხსიერებას, იდენტობას, მემკვიდრეობას, კულტურულ ტრადიციებს, ტოლერანტობას და წვლილი შეჰქონდეს საქართველოს მრავალფეროვანი კულტურის ინტერპეტაციაში;
- ერთ-ერთ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ისტორიული და კულტურული ღირებულების წარმოჩენა და უნდა მოიცავდეს საქართველოს მინიმუმ ერთ რეგიონს;
- ხელი უნდა შეუწყოს ახალი ინიციატივებისა და სამაგალითო და ინოვაციური პროექტების შექმნას კულტურული ტურიზმისა და კულტურის მდგრადი განვითარების სფეროში;
- ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნას ან არსებულის პოპულარიზაციას ტურისტულ სააგენტოებთან და ოპერატორებთან თანამშრომლობით.

II. კულტურული მარშრუტების პრიორიტეტული აქტივობები:

თანამშრომლობა კვლევისა და განვითარების მიმართულებით

- ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს კულტურის, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, ხელოვნებისა და ა.შ. შესახებ გაბნეული ცოდნის თავმოყრას, ასევე საქართველოს კულტურის საერთო ღირებულებების გამოვლენას;
- უნდა წახალისოს სხვადასხვა სახის კულტურული თანამშრომლობა, როგორც საზოგადოებრივ ასევე სამეცნიერო დონეზე;
- უნდა წახალისოს კვლევითი და ინტერდისციპლინარული ანალიზი, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დონეზე.

მეხსიერების, ისტორიისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა/ხელშეწყობა

- უნდა წარმოაჩინოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური და არამატერიალური ფორმები, განმარტოს მათი ისტორიული მნიშვნელობა და ხაზი გაუსვას რეგიონებში არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს;
- უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობას კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით, ასევე, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ორგანიზაციების ქარტიებს, კონვენციებს და რეკომენდაციებს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და დაცვის, ლანდშაფტისა და სივრცითი მოწყობის შესახებ;
- უნდა წარმოაჩინოს ქართველი და უცხოელი ტურისტებისთვის ნაკლებად ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის საიტები, კერძოდ კი სასოფლო გარემოში და ასევე სამრეწველო უბნებში, რომლებიც ეკონომიკური რესტრუქტურის პოტენციალს გადიან;
- ხელი უნდა შეუწყოს ფართო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის აღქმას, მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობაზე ცოდნის გაღრმავებას.

კულტურული და საგანმანათლებლო დატვირთვა ახალგაზრდებისათვის

კულტურული მარშრუტის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კულტურული მარშრუტების აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით.

თანამედროვე ხელოვნება

- ხელს უნდა უწყობდეს ისეთი აქტივობებისა და შემოქმედებითი პროექტების განვითარებას, რომელთა მიზანია კულტურულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე ხელოვნებას შორის კავშირის გამოვლენა;
- უნდა წარმოაჩინოს თანამედროვე ხელოვნების ინოვაციური და შემოქმედებითი მიმდინარეობები, ასევე ვიზუალური ხელოვნება, სამემსრულებლო ხელოვნება, შემოქმედებითი რეჟია, არქიტექტურა, მუსიკა, ლიტერატურა თუ სხვა.

კულტურული ტურიზმი და კულტურის მდგრადი განვითარება

- აქტიურად უნდა იყენებდეს კომუნიკაციის ბეჭდურ, სამაუწყებლო და ელექტრონულ საშუალებებს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობას ქალაქებსა და სოფლებს, ასევე განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს შორის;
- ხელს უნდა უწყობდეს ტურიზმის სფეროში მოღვაწე საჯარო და კერძო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მიმართულია საერთო ტურისტული პროდუქტის განვითარებაზე.

III. კულტურული მარშრუტის ქსელი:

პროექტის ინიციატორმა უნდა ჩამოაყალიბოს მრავალდისციპლინური ქსელი:

- უნდა წარმოადგენდეს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს კულტურული მარშრუტის თემის ირგვლივ ჩატარებულ კვლევას და აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს;
- გააჩნდეს იურიდიული სტატუსი;
- უნდა გააჩნდეს სრულყოფილი პროგრამა, მიზნები, მეთოდები, პარტნიორები, მონაწილე რეგიონ(ებ)ი (ამჟამინდელი და სამომავლოდ მოაზრებული) და ზოგადად, პროგრამის განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმები;
- უნდა გამოავლინოს პარტნიორები, მონაწილეები და სხვა დაინტერესებული მხარე(ები);
- უნდა იყოს მითითებული პროექტში ჩართული რეგიონ(ებ)ი/მუნიციპალიტეტ(ებ)ი;
- უნდა წარმოადგინოს მისი სამოქმედო გეგმის დეტალები და ინფორმაცია პროექტის ფარგლებში არსებული დამატებითი ფინანსური რესურსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უნდა განსაზღვროს და დანერგოს კულტურული მარშრუტების აქტივობების ინდიკატორები სოციო-ეკონომიკური გავლენის შეფასებისათვის.